# ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„




კარლ კოხი: საქართველო ძველთაგანვე ცნობილი კლასიკური მიწა-წყალია, ჯერ კიდევ სამი ათასზე მეტი წლის წინათ იყო მაღალი კულტურის ქვეყ-ანა, შემდეგ მტერთა სა-თარეშოდ ქცეული, არაერთხელ გაპარტახებუ-ლი და კვლავ გამოცოცხ-ლებული, აყვავებული.


2021 წელი 29 მარტი № 3 № 8166



ელფოსტა — AxaliGantiadi@gmail.com


90-ე წელია, ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარკს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს... გახდით ჩვენი მკითხველი!



## სოფელ იდლეთში გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს

კასპის მუ-ნიციპალიტეტის სოფელ იდლეთში რე-გიონებში განსახორ-ციელებელი ფონდის დაფინანსებით გზის სამშენებლო სამ-უშაოები დაიწყო.



პროცესის მიმდინარეობას შიდა ქართლის სახელმ-წიფო რწმუნებული მამუკა სალარეიშვილი, რწმუნებულის პირვ-ელ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და ადგილობრივი თვით-მმართველობის წარ-მომადგენლებთან ერ-თად, ადგილზე გაეც-ნო. რწმუნებულის თქმით, სოფელ იდლე-თის გზის მშენებლო-ბა მიმდინარე წელს დასრულდება და მო-სახლეობა განახლე-



ბული ინფრასტრუქ-ტურით მალე შეძლებს სარგებლობას.

პროექტის ფარგლებში დაგეგ-მილია 750-მეტრიანი გზის საფარისა და სანიაღვრე სისტემე-ბის მოწყობა.

## ვისი ვალია ბუნების დაცვა

## გამწვანების აქცია კასპში

კასპის მუ-ნიციპალიტეტში გამ-წვანების აქცია გაიმ-ართა, რომელიც წყ-ლის რესურსების დაცვის საერთა-შორისო დღეს -22 მარტს მიეძღვნა.

ბუნების მკვ-ლევართა კავშირი “ორქისი” წლებია თანამშრომლობს კას-პის მუნიციპალიტე-ტის მერიასთან და მა-რადმწვანე და ფოთ-ლოვანი ნერგებით ამ-არაგებს.

ნერგების შეძენას ფინანსურად შვედეთის მთავრობა უზრუნველყოფს. ამჯერად “ორ-



ქისელებმა” კასპელებს კავკასი-ური ელდარის ფიჭვის, ნუშის, ბროწეულის და წაბლის ნერგები ჩამოუტანეს, რომ-ლებიც მუნიციპალი-ტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესე-ბულებებს, საჯარო სკოლებსა და მუზეუმებს გადაეცათ.

აქციის მიზა-ნია საზოგადოების გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლე-ბა და პასუხისმგებლო-ბის გაზრდა. დარგვის აქციაში, მოსწავ-ლეებთან და “ორ-ქისელებთან” ერთად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიც მონაწილე-ობდნენ.

კასპის მუ-ნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაი-სურაძემ ბუნების მკვლევართა კავშირ “ორქისის” წარმო-მადგენლებს მადლო-ბა გადაუხადა თანამ-შრომლობისათვის.

## გზის მოასფალტება სოფელ ბარნაბიანთკარში

კასპის მუ-ნიციპალიტეტის სოფელ ბარნაბიანთ-კარის მისასვლელ გზაზე ასფალტის დაგების სამუშაოები დასრულდა. აღნიშნუ-ლი გზა მნიშვნელო-ვანია, რადგან ის უმოკ-ლესია ორი სოფლის, თელიანის და სასირე-თის მოსახლეო-ბისთვის.

გზაზე მოეწ-ყო რკინა-ბეტონის კი-უვეტები ლითონის ცხაურებით, ეზოში შესასვლელები, საგ-ზაო სამოსი და საგ-ზაო ნიშნები.

გზის სიგრძე 1 955 გრძივი მეტრია, სამუშაოების ღირე-ბულება 1 099 517 ლარი, რომელიც რე-გიონალური განვი-თარების ფონდიდან და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუ-ჯეტიდან დაფინანსდა.

სამუშაოები 2 ეტაპად განხორციელ-და - 2020 წელს შესრულდა 608 079 ლარის სამუშაოები, ხოლო 2021 წელს 491 438 ლარის. სამუშაოებს შპს “გზე-ბი და კეთილმოწყო-ბა” აწარმოებდა.

კასპის მუ-ნიციპალიტეტს ერთ-ერთ პრიორიტეტად მიაჩნია, კეთილმოაწყ-ოს სოფლებში მის-ასვლელი გზები. პროცესი გაგრძელდე-ბა, ვიდრე ყველა სოფელს არ ექნება კეთილმოწყობილი მისასვლელი - აღნი-შნა ვახტანგ მაი-სურაძემ, კასპის მუ-ნიციპალიტეტის მერ-მა.



## დედის დღე -3 მარტი



დედის დღესთან დაკავშირე-ბით, კასპის მუნიცი-პალიტეტის მერის პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი და კასპში ვეტერან-თა საქმეების სახელმ-წიფო სამსახურის წარმომადგენელი გოჩა კობაური საქართვე-ლოს ერთიანო-ბისთვის დაღუპული გმირების ოჯახებს ეწვივნენ. თამაზ ტატანაშვილმა დედის დღე მიულოცა გოჩა თათრიშვილის, გიორ-გი კაპანაძის, ნიკოლოზ ხოკრიშვილის, ბადრი ცქვიტიშვილის, გიორ-გი პაპუაშვილის, სოსო ბეჟუაშვილის, მორის მუხათგვერდელის, გელა თიგიშვილის, ზაზა მარიდაშვილის, გელა თათარაშვილის დედებს და მადლობა გადაუხადა სამშობლო-სათვის ღირსეული ვაჟკაცების აღზრდისა და გმირული თავდადე-ბისათვის. კასპში ასევე იმყოფებოდნენ ვეტერანთა საქმეებ-ის სახელმწიფო სამ-სახურის დირექ-ტორი გენერალ-მაიორი კობა კობალ-აძე და შიდა ქართ-ლის სამმართველოს უფროსი ზვიად სა-ბაშვილი. მათ დედის დღე მიულოცეს გიორგი კაპანაძის, გოჩა თათრიშვილის და ნიკოლოზ ხოკრიშვილის დედებს.

ოფიციალური ქრონიკა

# სასმელი წყალი – სოფელ აღაიანს

სოფელ აღაიანში შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებს.

სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი" აწარმოებს. ამჟამად სოფლის ქუჩებში შიდა დაქსელვა და რეზერვუარის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება 2 437 956 ლარია.

სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა მერიის ერთ–ერთი პრიორიტეტია. ამ სოფელს კი წლებია სასმელი წყლის პრობლემა მუდმივად აწუხებდა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ 750 ოჯახს ანუ 3 000 ბენეფიციარს სასმელი წყლის მიწოდება და სოციალური პირობები გაუუმჯობესდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.





# კასპში სამების ქუჩის რეაბილიტაცია

კასპში სამების ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო. ქუჩა წლების განმავლობაში ამორტიზებულია და მოასფალტებული არასოდეს ყოფილა.

სამების ქუჩასთან ერთად რეაბილიტირდება ლესელიძის, ჯორჯიაშვილის, მეტეხის და ქვათახევის ქუჩები.

ხუთივე ქუჩა ერთმანეთთან დაკავშირებულია და არის მჭიდროდ დასახლებული.

სამების ქუჩის სამუშაოების ღირებულება 88 975 ლარია, ხოლო ხუთივე ქუჩის - 969 980 ლარი.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

# წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია დაიწყო

კასპში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

ქუჩა წლების განმავლობაში ამორტიზებულია და მოასფალტებულიც არასოდეს ყოფილა.

წერეთლის ქუჩასთან ერთად მოასფალტდება შარიფაშვილის, ყაზბეგის, გურამიშვილის და წულუკიძის ქუჩები. ხუთივე ქუჩა ერთმანეთთან დაკავშირებული და გადაადგილებისთვის პრობლემურია.

წერეთლის ქუჩის სამუშაოების ღირებულება 127 031 ლარია, ხოლო ხუთივე ქუჩის ერთად 889 991 ლარი.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. კეთილმოწყობილი გზა მოსახლეობას და ავტოტრანსპორტს გადაადგილების უსაფრთხო გარემოს შეუქმნის - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.



# სოფელ მიქელწყაროში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროში წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

პროექტის ფარგლებში აშენდა საქლორატორო, მოეწყო წყალსადაწნეო კოშკი, წყლის გამანაწილებელი ქსელი, სანიტარული დაცვის ღობე და 75 საუბნო ონკანი.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "გაზტექმშენი" ახორციელებდა, რომლის ღირებულებაც 268 700 ლარია.

სოფელ მიქელწყაროს მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა ათეული წლების განმავლობაში აწუხებდა. პროექტის განხორციელებამ მოსახლეობას წყალმომარაგება გაუუმჯობესა.



# სამუშაოები სოფელ ქვემო ჭალის საბავშვო ბაღში

პროექტს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს "სამშენებლო ტრესტი №3" ახორციელებს.

ორსართულიან შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოეწყობა ცენტრალური გათბობა. რეაბილიტაციის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ახალი კომფორტული საბავშვო ბაღით, რაც თავის მხრივ გამოიწვევს აღსაზრდელებისა და პედაგოგების პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.



სამუშაოების ღირებულება 284 988 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა.

# მამულო, სიცოცხლეო!

"საქართველოს მშრომელი ხალხი აიტანს სიმშილს, სიცივეს, შავ ჭირს, თვით სიკვდილის წინაშეც არ შედრკება, მაგრამ თავისი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას კი არ დათმობს არასოდეს" (სტილი დაცულია)

/გაზეთი "სოციალფედერალისტი" – 1921 წელი, 16 . 03. /.

სიკვდილსაც კი არ შეუშინდნენ და 1921 წლის თებერვალში, კოჯრისა და ტაბახმელას მისადგომებში საბჭოთა ჯარებთან შეტაკებისას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იუნკრები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, მათთან ერთად დაიღუპა მოხალისე მოწყალების და, პოეტ კოტე მაყაშვილის 19 წლის ასული მარო მაყაშვილი.

– სამშობლოსათვის სიყვარული და თავის გაწირვა უდიდესი ვალია, – იგი უდიდესი გრძნობაა, – აცხადებდა ყმაწვილი ქალი დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე, – ჩვენ არასოდეს არავის შევუშინდებით, ბოლომდე დავიცავთ ჩვენს მიწას. მართლაცდა, ასე სწამდა საქართველოს სასიქადულო წინაპარს და ამ უმაღლეს და უსპეტაკეს გრძნობას უყოყმანოდ შეეწირა მისი ნორჩი სიცოცხლე...

ნეველის სახელობის ტაძრის ეზოში იმ დღეს იუნკრები მშობლიურ მიწას დიდი პატივით მიაბარეს, მათთან ერთად დაიდო სამუდამო განსასვენებელი მარო მაყაშვილმა.

... თებერვალი საქართველოში სერიოზულ ემოციებთან და საქართველოს წარსულის გახსენებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქალაქის ცენტრში მიმდინარე წლის 23 თებერვალს სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნის პატივსაცემად კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე –ახალგაზრდობის სახლის /მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი, მხარეთმცოდნეობის წრის პედაგოგი ნანა მერებაშვილი და ლიტერატურული წრის პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი) მოსწავლეები შეიკრიბნენ.

– თქვენ წარმოიდგინეთ, მსგავსი სამთავრობო თუ სადღესასწაულო შეხვედრები წინასწარ განსაზღვრული და გაწერილი გეგმის მიხედვით იგეგმება, – საუბრობს ქალბატონი ნანა მერებაშვილი, – ასე იყო ამჯერადაც, მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა ყველაფერი კარგად აწონ-აწონეს და ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელი ღონისძიება შესთავაზეს საზოგადოებას. შეხვედრა იყო წარმომადგენლობითი, ღონისძიებას სტუმრობდნენ ჩვენი ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები, მოსწავლე-ახალგაზრდობა.

დასასრული გვ10.

ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

# ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა (ყოფილი ქსნის ერისთავთა) ციხე-სასახლე არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, კომპლექსური ნაგებობა, რომლის შემადგენლობაში შედის კოშკებიანი გალავანი, კარის ეკლესია, მარანი, თავლა, წისქვილი. დათარიღებულია XVII–XIX სს-ით.

ციხე-სასახლეში 1985 წლიდან ფუნქციონირებს მუზეუმი. მასში დაცულ ექსპონატთა უმრავლესობა მემორიალურია. მუზეუმის დანიშნულებაა კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, შემგროვებლობითი საქმიანობა.

მუზეუმში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები; მომსახურებას უწევს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორებს; იკვლევს და აგროვებს სოფელში არსებულ ან მასთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს, ყოფით, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს.



ამერიკის სახელმწიფო განვითარების სააგენტო (USAID) საქართველოში აფინანსებს პროექტს "ზრდა საქართველოში" — ეს არის ხუთწლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს "ქემონიქს ინტერნეიშენალი".

2019 წლის პირველ ნოემბერს პროექტმა გამოაცხადა საგრანტო პროგრამა კერძო და საჯარო მუზეუმების მხარდასაჭერად, მათი მუშაობის ეფექტურობის გაზრდის, ფუნქციონირებისა და მომსახურების გაუმჯობესების, მეტი ვიზიტორის (ტურისტის) მოსაზიდად და შემოსავლების გაზრდის მიზნით.

პროექტის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნაში, საგრანტო განაცხადზე, დეტალურადაა გაწერილი, თუ რას უნდა მოხმარდეს გრანტი:

"1. მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის მოწყობა ტექნოლოგიურად მოწინავე მოწყობილობებით აღჭურვილი, როგორიცაა: აუდიოვიზუალური მასალები;
2. მუზეუმის ოფიციალური ვებგვერდების ან სხვა სარეკლამო მასალების შექმნა;
3. ბილბორდების, ბანერების შექმნა;
4. მობილური აპლიკაციების შექმნა;
5. აუდიო გიდები;
6. პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები ონლაინ დაჯავშნისა და მონიტორინგისათვის;
7. ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები;
8. საკონსულტაციო პაკეტები;
9. საოჯახო სერვისები;
10. ინოვაციური სერვისები;
11. ავეჯი და სხვა ინვენტარი".

საგრანტო განაცხადის გაცნობის შემდეგ ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ პროექტში.

არსებობის 35 წლის მანძილზე ლამისყანის მუზეუმში საექსპოზიციო და საოფისე ახალი ინვენტარი არ შესულა.

სოფიო ცუცუნაშვილი მუზეუმის დირექტორი: - მეორადი, შეუფერებელი ინვენტარით ვსარგებლობთ. ღონისძიებებს ნათხოვარი ტექნიკით ვატარებთ. პროექტმა პრობლემის მოგვარების შანსი მოგვცა.

მოვამზადეთ განაცხადი. ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რამდენად აუცილებელი და დროული იქნებოდა ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის აღჭურვა ტექნოლოგიურად მოწინავე მოწყობილობებით.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, გაგაცნოთ ამონარიდი განაცხადიდან:

"სასახლის პირველ სართულზე განლაგებულია სამუშაო ოთახები, სათავსოები, მუზეუმის ბიბლიოთეკა და საგამოფენო დარბაზი, რომელიც საჭიროებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას, რათა შეიქმნას შესაბამისი საგანმანათლებლო, საკონფერენციო სივრცე. ამისთვის საჭიროა ლეპტოპი, რაც გააადვილებს კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებებისათვის მზადების პროცესს; კომპიუტერულ სისტემასთან ერთად, საჭიროა აუდიო მოწყობილობა დინამიკების სახით, რაც ხელს შეუწყობს მსმენელთა დასწრებას ღონისძიებებზე.

საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცე საჭიროებს პროექტორის ტექნიკით და მისი აქსესუარებით (პროექტორის ეკრანი, პროექტორის საკიდი) აღჭურვას, რათა მოეწყოს თემატურად სლაიდების, მუზეუმში არსებული დოკუმენტური თუ ფოტომასალის ჩვენებები. ეს მუზეუმს საშუალებას მისცემს აქტიურად ჩაერთოს და მოაწყოს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაზე გათვლილი საგანმანათლებლო აქტივობები, სადაც ჩართული იქნებიან საჯარო სკოლები, მუზეუმები და სხვა.

როგორც გამყოფ ხაზთან 1500 მეტრში მდებარე სასახლე-მუზეუმს, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, მოვიძიოთ ინფორმაცია ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებზე და გავაცნოთ ვიზიტორებს სლაიდების სახით.

მუზეუმმა დამოუკიდებლად რომ მოახდინოს მასში დაცული დოკუმენტური, წერილობითი, ფოტომასალისა და ოფიციალური დოკუმენტების სკანირება, აუცილებელია მუზეუმს ჰქონდეს მრავალფუნქციური პრინტერი (სკანერი), რათა შეძლოს სკანირებული მასალის თემატური აქტივობებისათვის გამოყენება და გაუადვილდეს ოფიციალური დოკუმენტების შესაბამისი სტანდარტით მომზადება და გადაგზავნა საჭიროების შემთხვევაში.

სასახლის მეორე სართული მთლიანად (8 ოთახი) ეთმობა ექსპოზიციას. ექსპონატები დასაცავია მზის სხივებისაგან. ამისთვის კი, აუცილებელია შევიძინოთ შესაბამისი ხარისხისა და სტილის ფარდები, რითაც ოთახებს ნაწილობრივ მემორიალურ სახესაც დავუბრუნებთ.

სასახლე-მუზეუმში დაცულია ლამისყანის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, დათარიღებული ძვ. წ. აღით VII ს-დან XIX ს-მდე. მათ განსათავსებლად თანამედროვე დონის მინის ვიტრინებია საჭირო. ამით ვიზიტორთათვის ეფექტური და სასურველი გარემო შეიქმნება.



მუზეუმის ფონდსაცავში ინახება უნიკალური ფოტო, ყოფითი, ეთნოგრაფიული და დოკუმენტური მასალა. რომ შემცირდეს მათი დაზიანების რისკები, გვესაჭიროება სპეციალური დახლები (სტელაჟები), ამით გაუმჯობესდება საფონდო მუშაობა.

ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის პოპულარიზაციის მიზნით საჭიროა ვებგვერდის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის ცნობადობის გაზრდას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დაინტერესებული პირი სამ ენაზე მიიღებს სასურველ ინფორმაციას ტექსტური და აუდიო-ვიდეო სახით.

ასევე, აუცილებელია, გზაგამტარზე ორი მიმართულებით განთავსდეს ბანერი. ამით პოტენციურ ვიზიტორს მიეწოდება ინფორმაცია კონკრეტული ძეგლისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ.

მუზეუმის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს სამენოვანი საინფორმაციო ბუკლეტის დაბეჭდვა; მასში მოთხრობილი იქნება სოფლის, მუზეუმის და მასთან დაკავშირებული გამოჩენილი პიროვნებების შესახებ. ეს იქნება ერთ-ერთი საშუალება დავაინტერესოთ და მოვიზიდოთ სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისა და ეროვნების პირები".

პროექტის შემფასებელმა კომიტეტმა გვაცნობა, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი აპლიკაცია მოწონებულ იქნა და გადავედით პროექტის მეორე ეტაპზე, რაც ონლაინ რეჟიმში ტრენინგში ჩართვას გულისხმობდა. გავიარეთ ერთკვირიანი ტრენინგი, ჩავაბარეთ გამოცდა, რის შემდეგაც პროექტის ორივე მონაწილეს, მუზეუმის დირექტორს და მუზეუმის ექსკურსიამძღოლს თეონა ბეინაშვილს, გადმოგვეცა სერტიფიკატები.

ტრენინგის წარმატებით გავლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა პროექტში გამარჯვებას. საჭირო იყო ამჯერად სრული აპლიკაციის წარდგენა შეფასების შემდეგი ეტაპისათვის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის თანდართვითა და აპლიკანტის კონტრიბუციის სრული აღწერით. ამ საკმაოდ რთული ტექნიკური მხარის მოგვარება თეონა ბეინაშვილმა იტვირთა და კარგადაც გაართვა თავი.

2020 წლის წლის 14 აგვისტოს პროექტის გრანტების გუნდმა გვაცნობა, რომ შეფასების კომიტეტმა დადებითად შეაფასა ჩვენი აპლიკაცია და ის შეირჩა დაფინანსებისათვის.

საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის კონტრიბუცია 26750 ლარია; გრანტის მიმღების კონტრიბუცია კი 5100 ლარს შეადგენს.

კონტრიბუციის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებამ ლამისყანის მუზეუმს შეუძინა: მრავალფუნქციური პრინტერი, ტვ მონიტორი, ტვ მონიტორის საკიდი, ფოტოკამერა, გარე მყარი დისკი, ფლიფჩარტი (ბორმაიკერის დაფა), პროექტორის ეკრანი, პროექტორის საკიდი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებამ პროექტის მხარეს წარუდგინა ჩამოთვლილი ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, "ქემონიქს ინტერნეიშენალმა" დაიწყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; დააფინანსა მუზეუმის საიტის დამზადება და ბუკლეტის დაბეჭდვა; მუზეუმს შეუძინა: პორტაბელური კომპიუტერი, დინამიკები, პროექტორი, პლანშეტი, საფონდო სტელაჟები, მინის ვიტრინები, ფარდები, ფარდის ლენტა, ფარდის კაუჭი, კარნიზები. დარჩენილია ბილბორდის დამზადება და მისი მონტაჟი, რაც უახლოეს პერიოდში შესრულდება საგრანტო ხელშეკრულებით. საგრანტო პროექტი დასრულდება 2021 წლის 17 სექტემბერს.

# სკოლის გახსნამდე

ყველასათვის ცნობილია, რომ მუსიკას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. მუსიკას სამკურნალო მიზნებისთვისაც კი იყენებდნენ. მაგალითად, საბერძნეთში, ეპიდავროსის ტაძარში, ცნობილი ექიმი ესკულაპი მუსიკას იყენებდა სულიერ დაავადებულთა მკურნალობის მიზნით.

ძველი დროის ექიმები - ჰიპოკრატე, თეოფრასტე, ცელსიუსი, აურელიანუსი, გალენი და სხვ. სამკურნალო პრაქტიკაში ფართოდ იყენებდნენ ვოკალურ და ინსტრუმენტულ მუსიკას.

ბიბლიიდან ცნობილია, რომ ისრაელთა სულიერად დაავადებული მეფე საული მშვიდდებოდა, როდესაც დავითის სიმღერას და ქნარზე დაკვრას უსმენდა.

დღესაც, იტალიის ქალაქებში, საფრანგეთში (წმ. მადლენას ჰოსპიტალში), გერმანიაში (ჰალეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში) და სხვაგან, ფსიქიურად და ნერვიულად დაავადებული ავადმყოფების მკურნალობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკას.

სათანადოდ შერჩეულმა მუსიკამ შეიძლება თავისებური კათარზისის როლი ითამაშოს, ე.ი. მოხსნას, განმუხტოს ადამიანში დაგროვილი მძაფრი ვნებანი, მძიმე განცდები, განუწყვეტელი შინაგანი კონფლიქტები.

იმისდა მიხედვით, თუ რა მუსიკას უსმენს ადამიანი, შეიძლება გავარკვიოთ მისი შინაგანი მდგომარეობა, დავინახოთ მისი სულიერი განცდები, ფიქრები, ჩამოვაყალიბოთ ადამიანის სულიერი პორტრეტი და, საერთოდ, ვიმსჯელოთ ამ ადამიანის რაობაზე. კონკრეტულად კი ესა თუ ის მუსიკალური მიმდინარეობა, ჟანრი, რომელსაც პიროვნება უსმენს, ნათლად მიუთითებს, თუ რა სახის ადამიანთან გვაქვს ურთიერთობა, როგორი სულიერი სიცარიელის შესავსებად სჭირდება მას ეს მუსიკა.

სიმღერა და მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. ბავშვის დაბადებიდანვე მშობლები აბსოლუტურად ინსტინქტურად იყენებენ მუსიკას პატარას დასამშვიდებლად, მისი საშუალებით გამოხატავენ ბავშვისადმი სიყვარულს, ბედნიერებას. ყველაფერთან ერთად მუსიკა შვილთან ინტერაქციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაცაა. რეალურად მუსიკა უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, აუმჯობესებს მის სოციალურ უნარებს და სარგებლობა მოაქვს ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის 2016 წლის კვლევის თანახმად, მუსიკის მოსმენა ტვინს განვითარებისკენ უბიძგებს. განსაკუთრებით ავითარებს ტვინის იმ ნაწილს, რომელზეც დამოკიდებულია მეტყველების გამართულობა და კითხვის უნარის გამომუშავება. კიდევ ერთი კვლევის მიხედვით კი, რომელიმე მუსიკალურ საკრავზე დაკვრის სწავლა აუმჯობესებს მათემატიკურ აზროვნებას. თუ ბავშვი რომელიმე საკრავს ეუფლება, ის მათემატიკის სწავლისას უკეთეს უნარს ამჟღავნებს და უფრო მეტად უადვილდება ციფრებთან ურთიერთობა.

მუსიკის დადებითი მხარე მხოლოდ მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე არ აისახება. ვითარდება ბავშვის როგორც ინტელექტუალური, ასევე სოციალური და ემოციური უნარები. ის ეხმარება სხეულსა და გონებას, რომ ერთად იმუშაოს, აუმჯობესებს უცხო ენების სწავლის შესაძლებლობას და აუმჯობესებს მეხსიერებას. უფრო მეტიც, გარდა გონებრივი განვითარებისა, მუსიკა დადებითად მოქმედებს მოზარდის ემოციურ მდგრადობაზეც. მას ბავშვისთვის სიხარული და ბედნიერების განცდა მოაქვს.

მუსიკალური განათლება, მოსმენა, სიმღერა ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის სასარგებლოა. მუსიკის საშუალებით მოზარდები საკუთარ თავს გამოხატავენ.

სრულიად გასაგები და ნათელია, თუ რატომ ზრუნავენ საქართველოში, თუნდაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ასე გამორჩეულად ახალგაზრდების მუსიკალურ განათლებაზე.

ავიღოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითი. მარტო კასპში კი არა,



მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლები თავისი უბნებით. კერძოდ, თავად კასპის სამუსიკო სკოლას აქვს ქვემო ჭალის სამუსიკო უბანი; ახალქალაქის სამუსიკო სკოლას - მეტეხის და ახალციხის უბნები; ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლას - გომის და სასირეთის უბნები; დოესის სკოლას - ხოვლის უბანი და კავთისხევის სამუსიკო სკოლა.

კასპის სამუსიკო სკოლა გახლავთ რაიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კულტურული კერა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია მთელი დატვირთვით მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური და სულიერი განვითარებისათვის და მის კედლებში დაფრთიანებული ათობით აღზრდილი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს ქვეყნის მუსიკალურ სივრცეში.

ყოველწლიურად იზრდება კასპის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა კონტინგენტი. სტატისტიკის მიხედვით სკოლა 350-მდე მოსწავლეს ითვლის. ბავშვები აქ მარტო ფორტეპიანოს კლასში კი არ ირიცხებიან, ქართული ფოლკლორის ისტორიის, ხალხური სიმღერის, ქართული საგალობლებისა და ხელოვნების, ხატვის შესწავლის საფუძვლებსაც ეუფლებიან.

... შარშან ამ დროს კასპის სამუსიკო სკოლაში მშენებლები მოვიდნენ. დაიწყო შენობის სრული რეაბილიტაცია, სამუშაოებს აწარმოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "აგრომშენსერვისი". სკოლის მომცრო ეზო, შემოგარენი ერთგვარ სამშენებლო პოლიგონს წააგავს, სკოლას თავისი არსებობის ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამ მოცულობის სამშენებლო, სამონტაჟო სამუშაოები არ ჩასტარებია.

ერთი სიტყვით, სამუშაოები სწრაფი ტემპით დაიწყო. ისიც უნდა აღინიშნოს უთუოდ, რომ ეს მკირადღირებული პროექტი /555. 291 ლარი/ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, პროექტი ამ ორიოდე წლის წინ დაიგეგმა, რომლის ინიციატორი და დამფინანსებელი გახლავთ ადგილობრივი ხელისუფლება.

პროექტანტების განმარტებით სამუშაოები მიმდინარე წლის 15 ივნისს უნდა დასრულდეს და აქ სულ სხვა სურათი იქნება, ბოლოს და ბოლოს რაიონსა და ქალაქს ექნება სრულიად ახლებური, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, ტიპიური, კეთილმოწყობილი სასწავლო დაწესებულება.



დღიდან რეაბილიტაციის დაწყებისა, მშენებლობას კურირებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური და მათივე განმარტებით გასული წლიდან მოყოლებული ოდნავადაც არ შეფერხებულა სარეაბილიტაციო სამუშაოები და კიდევ, სამუშაოების პირველი და მეორე ეტაპი სწორედ რომ დათქმულ ვადებში შესრულდა: შრომატევადი, მართლაც რომ საპასუხისმგებლო იყო ეს ყველაფერი, მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ნამდვილად ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე გაართვეს თავი დავალებას, როგორც აქაურები ამბობენ მთელი ზაფხულის განმავლობაში დასაქმებულები აქტიურობდნენ. სამუშაოზე მოსვლას ვერავინ ასწრებდა გიორგი ქურთაულს, მიხეილ მორბედაძეს და სხვებს...

ჩატარებული სამუშაოების შედეგად,



მთლიანად შეიცვალა და განახლდა სკოლის ინფრასტრუქტურა, შენობის საძირკვლიდან დაწყებული, სახურავით დამთავრებული.

დიდი დრო დასჭირდა დემონტაჟის სამუშაოებს, მთლიანად გასუფთავდა, დემონტაჟი ჩაუტარდა შიგნიდან, გარედან ძველ ნალესს, კედლები შიგნითაც და გარეთაც ახლიდან შეილესა. იატაკიდან მთლიანად აიყარა ძველი პარკეტი, ფოიეში მოზაიკის ფილები, დამონტაჟდა თანამედროვე, ახალი ტიპის მეტალოპლასტმასის ფანჯრები.

მთლიანად სახე იცვალა სკოლის შესასვლელმა, სადაც დამონტაჟდა ახალთახალი ლითონის კარები. იატაკი დამუშავდა ცემენტის ხსნარით /ყველა ოთახში ჩატარდა მოჭიმვა/.

ნამდვილად სასიამოვნო სიახლეა სკოლისათვის ხუთტონიანი წყლის რეზერვუარით უზრუნველყოფა, რაც აქამდე არასოდეს გააჩნდა სკოლას. მთლიანად შეიცვალა, გაუმჯობესდა და კეთილმოეწყო სველი წერტილები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მოეწყო პანდუსები და ცალკე ტუალეტი.

მთლიანად მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა და დემონტაჟი გაუკეთდა ძველ აივანს, გაკეთდა ახალი აივანი და ახალი კიბეც. ახლით შეიცვალა შიგნით, შენობაში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეც.

ჩატარდა აგრეთვე, სამღებრო სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს პირველი სართულის აივანზე და ფოიეში მეტლახის ფილების მოწყობა.

საქმე კვლავაც ბევრია, აქ სამუშაოს რა გამოლევს, მაგრამ ყველაფერი კარგად უნდა დასრულდეს, ამის იმედი აქვს ყველას...

ამ მრავალფეროვან და მოცულობით სამუშაოების განხორციელებას წლების განმავლობაში, მრავალგზის გაიხსენებენ სამუსიკო სკოლის როგორც მასწავლებლები, ასევე აღზრდილები.

უახლესი კვლევებით დადასტურდა, რომ კლასიკური მუსიკის მსმენელები, შემოქმედი-ხელოვანნი თუ ადამიანები, რომლებიც ზოგჯერ განსაკუთრებულადაც არ არიან გამორჩეულები, საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოები არიან. ისინი ადვილად ეგუებიან ცვლილებებს, ნებისმიერ გარემოში კარგი ორიენტაციის უნარი აქვთ და გამუდმებით ეძებენ საკუთარ თავს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, ასეთი ტიპის ადამიანები ძალიან ღრმა დეპრესიის დროსაც კი ინარჩუნებენ ოპტიმიზმს, რაც მათ ეხმარება დეპრესიიდან თავის ადვილად დაღწევაში და ახალი ძალების მოკრებაში.

პანდემიის სინამდვილეში ცხოვრებამ ყველა დაგვაფიქრა ჩვენი შვილების გუნება-განწყობის, გნებავთ ჯანმრთელი ოპტიმიზმის შენარჩუნებაზე. ამიტომ ველოდებით განახლებული სკოლის ახალ შენობაში აღსაზრდელების დროულ დაბრუნებას.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

# პროვინციული ქალაქის ცხოვრებით

(წერილი მესამე)

ცივი დეკემბრის დილა იცრიცებოდა ქართლში, რუხი ბინდი იწვა. რკინიგზის კასპის სადგურში თბილისი-ბორჯომის მატარებელი შემოგრიალდა, გაჩერდა, მგზავრებისაგან თითქმის დაიცალა და სწრაფადვე გაეცალა, 1965 წელი მიჰყვებოდა უსასრულობას...

თოვდა, მგზავრი, რომელიც ის-ის იყო მატარებლიდან ჩამოვიდა, ერთხანს, ბაქანზე შეყოვნდა, სადგური შეათვალიერა, მერე, გადაღმა, ცემენტის ქარხნის მილებს ჰკიდა თვალი და სიგარეტის კვამლივით დაგრაგნილ მტვერს დაედევნა, რომელიც, ცამდე ადიოდა, თაიგულივით იშლებოდა და პატარა დაბას, თოვლთან ერთად ათოვდა.

ცოტა ხანში საბილეთო სალაროს მიაკითხა და მატარებლის წასვლა - მოსვლის გრაფიკი იკითხა, პასუხი უბის წიგნაკში მოინიშნა, მოლარეს მადლობა გადაუხადა და ვიდრე სადგურს დატოვებდა, ბაქანზე მდგარ მილიციელს რაიკომის მისამართი ჰკითხა:

- ამ მთავარ ქუჩას გაჰყევით და კერძო სახლების შემდეგ, რაიკომის შენობას მიადგებით,- უპასუხა მილიციელმა და ხელით მიანიშნა, საით უნდა წასულიყო.

ქუჩა, რომელზეც სტუმარი დააკვალიანეს, კერძო მოსახლეთა ბაღებს შუაზე კვეთდა, რამდენიმე მეტრის შემდეგ, ორიოდე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ისე უსახურად გამოიყურებოდა, ადვილად შეამჩნევდით თეთრად შეფეთქილ შენობას, რომელიც ამ უგერგილოდ აგებული სახლების წინ, ატალახებული ქუჩის გადაღმა, უფრო კომფორტულად გამოიყურებოდა. უცნობი ამ შენობაში შევიდა და პირველივე შემხვედრს რაიკომის მდივნის კაბინეტი ჰკითხა.

- მაღლა აბრძანდით, მდივანს თათბირი აქვს და მისაღებში დაელოდეთ.

მისაღებში, მდივნის თანაშემწე, ახალგაზრდა ქალიშვილი შეეგება და, - ვინ გნებავთო,- ჰკითხა...

- მდივნის ნახვა მინდა...

- ვერ მიგიღებთ, თათბირი აქვს, - სიტყვის დამთავრება არ აცალა თანაშემწემ.

- არაუშავს, დაველოდები...

- ვერ დაელოდებით, დღეს ბარე, ხუთი თათბირი აქვს, ხვალ მობრძანდით!

- ქალიშვილო, აუცილებლად უნდა შევხვდე მდივანს, თანაც, ახლავე, მე თქვენი რაიონული გაზეთის რედაქტორად ვარ გამოგზავნილი და შესაძლოა, მაგ თათბირს მეც უნდა ვესწრებოდე, - გაცხარდა უცნობი...

- გაზეთი რომ არა გვაქვს?- გაიღიმა თანაშემწემ.

- ჰოდა, რაკი მოვედი, ჩათვალე, რომ აუცილებლად გექნებათ!

- რა გვარი ბრძანდებით?

-კლდიაშვილი, გურამ კლდიაშვილი, ასე მოახსენეთ მდივანს!

ქალიშვილმა გაუღიმა და მდივნის კაბინეტში შევიდა. რამდენიმე წამში უკან გამობრუნდა და კარი ფართოდ გააღო: - შებრძანდით, გელოდებათ!

რაიკომის პირველი მდივანი, ვლადიმერ ქერქაძე, ახალი მოსული იყო კასპში და ჯერაც რაიონის გაცნობით უფრო იყო დაკავებული, ყოველი დღე, სოფლების მონახულებას უნდებოდა, თათბირებს ან დილით ადრე ნიშნავდა, ან, საღამოს საათებში და მის კაბინეტში გვიანობამდე არ ქრებოდა სინათლე. ახლაც ასე მოხდა: დილის თათბირს შეესწრო გაზეთის რედაქტორად გამოგზავნილი გურამ კლდიაშვილი.

კაბინეტში შესულს, პირდაპირ კარებთან შეეგება ხელგაშლილი, გაღიმებული, წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი და ვეება, დაძარღვული ხელი გაუწოდა:

- კლდიაშვილი, არა? გუშინ დამირეკეს ცეკადან, გელოდი, ბევრი რამ მითხრეს თქვენზე, ისედაც გიცნობ, ოღონდ, პრესით, წამიკითხავს თქვენი მშვენიერი ლექსები, იუმორისტული ნაწარმოებები, სიმონეთიდან ხართ, არა?, ალბათ, დიდი კლდიაშვილების ახლობელი...

- დიახ, ახლობელი, მაგრამ, მე გურამი ვარ, კლდიაშვილი და თბილისიდან ახლა ჩამოვედი, მატარებლით...



- და პირდაპირ აქ მობრძანდით, არა? თუმცა, სად წახვიდოდით, რაიონული გაზეთი აღარ არსებობს, 1962 წელს გადააყოლეს რეორგანიზაციას, ახლა აღდგენის უფლება მოგვცეს და, იმედია, ისეთივე კარგი და შინაარსიანი გაზეთი გვექნება, როგორიც თქვენი პოეზიაა.

- ქათინაურისთვის დიდი მადლობა, ვლადიმერ გიორგევიჩ!

- ეს სიმართლეა, მაგრამ, ქათინაური მამაკაცებსაც გვსიამოვნებს, ახლა კი, უნდა წარგადგინო აქ დამსწრე საზოგადოებასთან, ესენი რაიონის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები და რაიკომის თანამშრომლები არიან, თათბირი გვაქვს და კარგია, რომ შემოგვესწარი, დღეიდან ამ კოლექტივის სრულუფლებიანი წევრი ხართ.

მდივანმა თათბირის ცნობისმოყვარე მონაწილეებს თვალი მოავლო, კლდიაშვილი თითოეულ მათგანთან მიიყვანა და გააცნო.

შეხვედრა გულთბილი და სასიამოვნო აღმოჩნდა, ყველა ფეხზე წამოუდგა ახალ რედაქტორს, მიესალმა, ხელი ჩამოართვა და თანადგომა აღუთქვა...

-პირველად ხართ კასპში? - მიუბრუნდა მდივანი კლდიაშვილს და სკამი შესთავაზა.

- დიახ, პირველად!

- ალბათ, ელოდით, რომ ნამდვილ ქალაქში მოდიოდით, არა?!

- არა, არ ველოდი, ყოველ შემთხვევაში, მატარებლიდან მაინც დამინახავს, მაგრამ, ნახვამ მოლოდინს გადააჭარბა, ქალაქს, ნამდვილად ვერ ვუწოდებ, სოფელში მეგონა თავი...

- გაინტერესებთ, რა თქვა ამაზე ალექსანდრე ბეჟანიშვილმა? - საუბარში ჩაერია თენგიზ პაპიაშვილი, სახალხო კონტროლის თავმჯდომარე.

- ვინ?!

- ალექსანდრე ბეჟანიშვილი ჩვენი განათლების განყოფილების გამგეა, რაიონული გაზეთის გაუქმებამდე, მისი რედაქტორი გახლდათ, ანუ, თქვენი წინამორბედი, საოცრად კარგი კაცი, დიდებული პიროვნება და იუმორისტი, ჰოდა, ალექსანდრეს როცა უთხრეს, კასპს ქალაქის სტატუსი მიენიჭაო, მან ხელები მაღლა აღაპყრო და თქვა: - დაიქცეს ის სამართალი, რომ კასპსაც ქალაქი ჰქვია და ნიუ-იორკსაცო, ასე შეაფასა ბეჟანიშვილმა, კასპისადმი ქალაქის სტატუსის მინიჭება 1959 წელს - განმარტა თენგიზ პაპიაშვილმა და გულიანად გაიცინა.

იუმორმა თათბირის მონაწილენი უფრო გაახალისა და გურამ კლდიაშვილმაც თავი უკვე შინაურ კაცად იგრძნო...

-ჩვენი, დღევანდელი შეხვედრის მიზანიც ეს არის,- სიტყვა ისევ ქერქაძემ გააგრძელა,- ქალაქის მშენებლობას უნდა დავუდოთ სათავე, ცენტრალური ქუჩა, სულ უნდა შევცვალოთ, ბაღ-ვენახები და ქოხ-მახები ავიღოთ, მოსახლეობა სხვა უბნებში გადავიყვანოთ და ხელი შევუწყოთ, ახალი მეურნეობა მოიწყონ, ქარხნებმა და ორგანიზაციებმა, საცხოვრებელი სახლები ააშენონ თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოედანი უნდა მოეწყოს და განზრახული გვაქვს, გიორგი სააკაძის ძეგლი დავდგათ, ამ დღეებში, ჩვენს ცნობილ მოქანდაკეს, მერაბ ბერძენიშვილს ველოდებით და ხელშეკრულებას გავაფორმებთ.

- კარგი იდეაა, ქალაქის შენებაში ყველა წვლილს შევიტანთ, მაგრამ ძეგლის დადგმა ძვირი არ დაუჯდება რაიონს?- იკითხა ხილის წვენების ქარხნის დირექტორმა, ალექსანდრე მაჭარაშვილმა.

- კი, ძვირი, ალბათ რამდენიმე მილიონამდე, თუ არ ვცდები, - გაიღიმა ვლადიმერ ქერქაძემ.

- რას ამბობთ, გულას ამბავი რომ ვიცით, დაგთანხმდებათ ბიუჯეტიდან მაგ თანხის გაცემაზე?- თქვა ქარხანა “კასპიელექტროაპარატის” დირექტორმა, გურამ გზირიშვილმა.

- ვინ არის გულა?- გადაულაპარაკა გურამმა გვერდით, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს, ბატონ ვაჟა ყიფიანს.

- გულა ალიბეგაშვილი რაიონის საფინანსო განყოფილების გამგეა, პატიოსანი, უმწიკვლო ფინანსისტია, თუ კარგად არ დაუსაბუთე, ბიუჯეტიდან კაპიკს ვერ დაახარჯინებ,- უთხრა ვაჟამ, მაგრამ, ნათქვამი ხმამაღალი გამოუვიდა და ვლადიმერ ქერქაძემაც უმალ უპასუხა:

- დავახარჯინებთ, დიახაც, დავახარჯინებთ, დავუსაბუთებთ და თავისი ნებით მოგვცემს დასტურს, გიორგი სააკაძის ძეგლის დადგმასაც სიამოვნებით შეხვდება.

ასეც მოხდა... მერე, კასპში, ლეგენდები დადიოდა, ვლადიმერ ქერქაძისა და გულა ალიბეგაშვილის ერთ-ერთ შეხვედრაზე, თუ როგორ დაათმობინა გაჯიუტებულ ფინანსისტს, ძეგლის ღირებულება. მაგრამ, აქ დავსვათ მრავალწერტილი და იმ დღევანდელ თათბირს დავუბრუნდეთ, რომელსაც კასპში გამოგზავნილი რედაქტორი პირველად ესწრებოდა, სადაც ქალაქის განაშენიანების საკითხი იხილებოდა...

- მალე კასპის ცენტრი სამშენებლო პოლიგონად იქცევა, - საუბარი გააგრძელა მდივანმა, - ყველა საწარმო, ჯერჯერობით, თითო საცხოვრებელ სახლს ჩაუყრის საძირკველს, ადგილები შერჩეულია, ჰა, რას იტყვი,- მიუბრუნდა იქვე მყოფ, სამშენებლო სამმართველოს უფროსს, გიორგი ბარნაბიშვილს,- მზად არიან თქვენი მშენებლები?

- დიახ, ვლადიმერ გიორგევიჩ, მზად ვართ, ფეხზე წამოდგა ბარნაბიშვილი.

- ძალიან კარგი, სხვა მშენებლებიც წამოგვეშველებიან, თუ დაგვჭირდება, - მდივანმა ახლა ნიკოლოზ კლიმიაშვილს გადახედა, რომელიც საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობდა და სოფლებში ფერმებს, ადმინისტრაციულ შენობებს, სასაწყობო მეურნეობებს და სხვა ნაგებობებს აშენებდა.

უარს ვინ ეტყოდა, ქალაქის შენებით გატაცებულ მდივანს და იქვე დაისახა გეგმები, განაწილდა დავალებები...

ამ ყველაფრის მომსწრე და მსმენელი გახლდათ, ჯერაც აღუდგენელი, რაიონული გაზეთის, ახლად დანიშნული რედაქტორი, გურამ კლდიაშვილი, რომელსაც, ამიერიდან, ისე უნდა ეცხოვრა, როგორც პატარა, პროვინციული ქალაქი მოითხოვდა და მისი ჭირი და ლხინი გაეზიარებინა.

თათბირზე იმსჯელეს სტამბა-რედაქციის აღდგენის საკითხზეც, სამუშაო კაბინეტების გამოყოფის მოგვარება დაევალა ცემენტის ქარხნის დირექტორს, ვახტანგ პაპიაშვილს....

თათბირი დამთავრდა, მაგრამ რედაქტორისთვის ახლა დაიწყო ის დიდი საქმე, რომელიც წითელ ზოლად გაჰყვა რაიონის შემდგომ ცხოვრებასა და სულიერ აღორძინებას. და რაც ყველაზე მთავარია, იმ დიდ მეგობრობას ჩაეყარა საძირკველი, რომელიც წლების განმავლობაში ალამაზებდა გურამ კლდიაშვილის, ვაჟა ყიფიანის, თენგიზ პაპიაშვილის და იმ თათბირზე დამსწრე საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის გაბმულ კავშირს, მით უფრო, ამ უნარიანი, განათლებული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, დიდებული პიროვნების, რაიონის თავკაცის,

**გაგრძელება გვ-10.**

# დედაშვილობა

დედაშვილობის გრძნობა ქვეყნად უპირველესია. მას არც ხანდაზმულობა გააჩნია და არც საზღვრები. ეს ნიშნავს, რომ დროისა და მანძილის ფაქტორი ვერაფერს აკლებს დედაშვილობას, რადგანაც მშობლისა და შვილის გულებს შორის არსებული მემკვიდრეობის "ქვით" ნაშენი ხიდი ყველაზე საიმედო და გამძლეა.

ქვემოთ მოხმობილი ორი რეალური მაგალითით მოგიყვებით კასპელი დედებისა და შვილების შესახებ, ვინც ათწლეულების მანძილზე კეთილსინდისიერად მსახურობ(დნ)ენ მომავალი თაობის სააღმზრდელო სისტემაში. მართლაც, აბა, რა უნდა აკავშირებდეს კასპს გერმანულ ქალაქ ჰილდესჰაიმთან (ქვემო საქსონიის მხარის ადმინისტრაციული ცენტრის, ჰანოვერის, ახლოს), თუ არა სწორედაც დედაშვილობის უწყვეტი და ცხოველი გრძნობა, ხიდად გადებული, აქაურ და იქაურ საბავშვო ბაღებში მომუშავე ქალბატონების გულებს შორის.

## კასპი – ოკამი: დედისეული საქმის ხელმძღვანელი

ოკმელმა ქალიშვილმა – ნათია ჩიტაშვილმა – უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კასპში შექმნა ოჯახი. სამსახურიც აქვე გამონახა, სპეციალობით ჯერ სკოლაში მუშაობდა, მერე – საბავშვო ბაღში. იმ დროს ვერც კი იფიქრებდა, რომ მშობლიურ სოფელში მოუხდებოდა მიბრუნება იმ დაწესებულების სივრცეში, სადაც პატარების კეთილშობილურ სამსახურში დიდხანს დედისგულობდა მისი საკუთარი დედა – მეგი ჩიტაშვილი... მაგრამ ისე მოხდა, რომ ცხოვრებისეულმა ერთმა გარემოებამ უდიდესი პასუხისმგებლობა არგუნა: ოკმის საბავშვო ბაღში სწორედ მას – და არა სხვას, თუნდაც ღირსეულად საქმის გამგრძელებელს – უნდა დაეკავებინა ვაკანტური ადგილი ქალბატონი მეგის გარდაცვალების (2019 წლის ივლისი) შემდეგ.

ქალბატონ ნათიას ახლა იმავე ოთახში და იმავე მაგიდასთან უხდება მუშაობა, სადაც ადრე დედას. არა, შენობის კოსმეტიკური შეფერილობა კი გაახლდა, მაგრამ ახალი გამგის ოთახში ისევ ტრიალებს საკუთარი დედის სახება, დედაშვილობის ნათელი აურის სვეტი ისევ დგას და, თითქოსდა, ძვირფასი მშობელი ახლაც უწევს კეთილმრჩევლობას, როგორც ოჯახური პროფესიული დინასტიის გამგრძელებელს...

კასპიდან ოკამში (და გზაუკუ) ყოველდღიური მიმოსვლა ნამდვილად არ არის იოლი, მაგრამ ქალბატონ ნათიას ძალას, ენერგიასა და მონდომებას მატებს შეგრძნება იმისა, რომ იგი კვალში უდგას მშობელს და გამგრძელებელია ძვირფასი ადამიანის არჩეული დიდებული საქმისა, რასაც მოზარდი თაობის აღზრდაზე პასუხისმგებლობა ჰქვია!



***

ნათია ჩიტაშვილი – სოფელ ოკმის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე:

– ამ საოცარი ქალბატონის ცხოვრებისეული ქალური ბიოგრაფია სოფელ ოკამში დაიწერა. ჩემთვის დედა იყო, მაგრამ მასზე სხვანაირად ვერ ვიტყვი, თუ არა ასე: "საოცარი ქალბატონი"... გვერდით როცა აღარ მყავს, ახლა უფრო მაოცებს, რამდენი რამ შეძლებია, რაოდენი სიკეთის გამღები ბრძანებულა. რა კარგია, რომ ჩვენ გარშემო არსებობენ ქალბატონები, რომლებიც პირადი ცხოვრებით სამაგალითონი და მისაბაძნი ხდებიან არა მარტო საკუთარი შვილებისათვის, უფრო მეტად – გარშემო მყოფთათვის. სიღრმისეულად ამოუცნობია, როგორ ახერხებენ, როგორ აღწევენ ქართველი ქალები, ერთდროულად იყვნენ ძლიერები, თავდადებულები მათთვის საყვარელ საქმეში.

ასეა, სოფელ ოკამში ცხოვრობდა ასეთი ქალბატონი – მეგი ჩიტაშვილი, რომელიც იყო ჩვენი პატარა სოფლის ღირსეული შვილი, დიდებული დედა და დიდი დიასახლისი!

პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (ეს კი 1977 წელს მოხდა) მშობლიურ სოფელში მიბრუნდა, საბავშვო ბაღში – აღმზრდელად, რასაც 26 წელი შეალია. აი, ამის მერე გამწესდა გამგედ. მთლიანობაში 40-ზე მეტი წლის განმავლობაში უშურველად გაღებული ღვაწლით, დაფასებული ამაგით, წარმატებული საქმიანობით ჩვენი სოფლის უამრავი ნორჩი პლეადა დააფრთიანა და დააფრინა...

ნიშანდობლივია ერთი მხარეც: დატოვა საოცრად თბილი, თანამოაზრე და ერთ მუშტად შეკრული ქალთა კოლექტივი.

ამიტომაა, რომ ახლა, როცა ჩემი სოფლის პატარებისათვის დიდი ზრუნვისა და სიყვარულის წმინდა ნაკადულის სათავეში ვდგევარ, ანუ, ვაგრძელებ დედისეულ გზას, – მხოლოდ მზარდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა მამოძრავებს:

– ხვალინდელი საქართველოსათვის ჩვენი კაშკაშა ნაკადულები აუმღვრევლად და თავანკარად უნდა შევინარჩუნოთ!

## კასპი – ჰილდესჰაიმი: ბედი, რომელიც სადაურსა სად წაიყვანს დედას...

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მთავარი სპეციალისტი მანანა მერებაშვილი საანგარიშო-საბუღალტრო დარგის გამოცდილი მუშაკია: წლების განმავლობაში მუშაობდა კასპის საქალაქო საბჭოში, სხვაგან და სხვაგან, 2009 წლის ივნისიდან კი დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ემსახურება ზემოხსენებულ დაწესებულებას.

ქვემოთ იგი მოგვითხრობს არა საკუთარი გამოცდილების თაობაზე, არამედ ქალიშვილის – ელისო მერებაშვილის – შესახებ, რომელიც, აგერ, 16 წელია ცხოვრობს გერმანიაში, პატარა ქალაქ ჰილდესჰაიმში, და, რაც არანაკლებ საინტერესოა ჩვენი გვერდის მკითხველისათვის: იგი პედაგოგ-აღმზრდელად მუშაობს იქაურ საბავშვო ბაგა-ბაღში.

მაშ, ასე: ჯერ დედა მოგვითხრობს, მისი საყვარელი ქალიშვილი თუ როგორ აღმოჩნდა უცხოეთში, შემდეგ კი თვითონ ელისო მერებაშვილის წერილს შემოგთავაზებთ, სადაც ის გაგვიზიარებს დასავლეთევროპული ქვეყნის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თავისებურებებს, განმასხვავებელ და მსგავს ნიშნებს, ვფიქრობთ, ჩვენი გაერთიანების მუშაკთათვის საინტერესო იქნება ქართველი პროფესიონალი სპეციალისტის თვალით დანახული უცხოური გამოცდილება:

***

მანანა მერებაშვილი – გაერთიანების მთავარი სპეციალისტი:

ჩემმა ქალიშვილმა კასპის №1 საშუალო სკოლა დაამთავრა. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ფილოლოგის დიპლომი აიღო. შემდეგ კასპშივე მუშაობდა №4 საშუალო სკოლაში, დირექტორის მოადგილედ მასობრივი მუშაობის ორგანიზატორად. ერთხანობას სოფელ მიქელწყაროს სკოლაში პედაგოგობდა და აზერბაიჯანელ ბავშვებს ქართულ ენასა და ლიტერატურას აუფლებდა. და, მაინც, თითქოს ეს არ აკმაყოფილებდა, იცოდა, მეტი შეეძლო და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინების ახალ გზებს ეძებდა.

ასე იყო თუ ისე, საკუთარი ბედისა და უკეთესი მერმისის მაძიებელი, უცხოეთში აღმოჩნდა: პირველად გერმანიაში 2005 წელს გაემგზავრა ე. წ. "ოპერის" სამუშაო პროგრამის ფარგლებში.

იქ ოჯახში მოხვდა, სადაც მეგზურობდა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს: დაჰყავდა ბაღში, ზრუნავდა მათ კვებაზე და საერთო საქმიანობაში ოჯახსაც ეხმარებოდა. ასევე, პარალელურად, მეცადინეობდა გერმანული ენის შემსწავლელ კურსებზე... "ოპერის" პროგრამა როცა დაუმთავრდა, ენის სპეცკურსი არ მიატოვა, სამსახურიც გაიჩინა, რათა თავის სარჩენი ხარჯები ჰქონოდა.

ამასობაში გაიცნო მომავალი საქმრო და დაოჯახდა კიდეც. მისი მეუღლე, ანდრეას ვოლმერი, ინჟინერია და ქარხანაში მუშაობს სპეციალობით, აქვს ჰობიც, მინიატურული საფრენი აპარატების ოსტატთა კლუბის წევრია. მათ 2 ქალიშვილი ჰყავთ – 9 წლის მია-სოფი და 6 წლის ვანესა... 2019 წელს ისინი კასპში გვესტუმრნენ.

ელისომ ოჯახი კი შექმნა და გერმანიაში საცხოვრებელი მყარი ნიადაგი შეიქმნა, მაგრამ მიხვდა, რომ უცხო ქვეყანაში მუდმივსაცხოვრებლად აუცილებელი გარანტიაც იყო საჭირო – ჰქონოდა ნორმალური სამსახური!

ქართულ უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი სპეციალობა, აბა, იქ ჯერ სკოლაში რაში არგოდა, ვერც საბავშვო ბაღში გამწესდებოდა. ამისათვის სავალდებულო იყო გერმანული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი! და მან გადაწყვიტა, რამდენად რთულიც არ უნდა ყოფილიყო უმაღლესში სწავლა – ესწავლა.



ელისომ ეს შეძლო, მაგრამ მორიგ ბარიერს ახალ ეტაპზეც წააწყდა: მისი სპეციალობა სასკოლო მოთხოვნებს ემთხვეოდა, ბაღისას კი

დასასრული გვ-10.

## ჩვენი იუბილარები

# ოლეგ იაძე – 60!

ბიოგრაფიული შტრიხები იუბილარის ცხოვრებიდან და სასპორტო კარიერიდან:

1961 წლის 29 მარტი – დაიბადა სოფელ მეტეხში (კასპის რაიონი).

1971 – ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო კასპის ჭიდაობის სპეციალიზებულ სკოლაში, ლეგენდარულ მწვრთნელთან – ლავრენტი კაციაშვილთან.

1978 – სსრკ-ის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკთა შორის),

– 1979 - 81 გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

– 1981 - 86 წლებში სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში.

1986 – შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს სამბოს ნაკრების მწვრთნელად.

1987 – საქართველოს სამბოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

1988-91 – საქართველოს სამბოს ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

1991-2013 – საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

1993 – მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

1997 – დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2000 – დასახელებულია მე-20 საუკუნის ქართული სამბოს საუკეთესო მწვრთნელთა ტოპ–10-ში (მე-2 პოზიციაზე, ქრისტეფორე ნინიაშვილის შემდეგ);

– გამოსცა წიგნი “მარადისობის ჭაბუკი” (მიუძღვნა ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს რამდენიმეგზის პრიზიორის, უდროოდ დაღუპული საუკეთესო შეგირდის – ვანო გამხიტაშვილის – ხსოვნას).

2001 – მიენიჭა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება (დაბადების 40



წლისთავთან დაკავშირებით).

2003-04 – არჩეული იყო საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტად.

2004-12 – არჩეული იყო ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად.

2011 – დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით:

– მიენიჭა წოდება “ქართული სპორტის რაინდი”;

– დაჯილდოვდა მსოფლიოს სამბოს ფედერაციის ვერცხლის ორდენით.

2012-15 – ეკავა ევროპის სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი.

2012-13 – ეკავა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა.

საქართველოს სამბოს ეროვნულმა ნაკრებმა, ოლეგ იაძის უფროსი მწვრთნელობის პერიოდში, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე მიაღწია შემდეგ შედეგებს (გუნდურ ჩათვლაში):

მსოფლიო ჩემპიონი გახდა ერთხელ (1997, ჩემპიონატი პირველად ჩატარდა საქართველოს დედაქალაქში), მე-2 ადგილი დაიკავა 4-ჯერ, მე-3 ადგილი – 6-ჯერ;

ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა ერთხელ (1999), მე-2 და მე-3 ადგილები შესაბამისად – 4-ჯერ და 6-ჯერ (!).

## ჩვენი იუბილარები

# აკაკი მალაციძე – 80!

საქართველოს აბსოლუტურ პირველობათა ორგზის ვიცე-ფალავანი (1967 და 1971 წლებში) იუბილარია: 10 მარტს მას დაბადებიდან 80 წლისთავი შეუსრულდა. ბატონი აკაკი ზემოხანდაკელია. სოფელში დღემდე საოცარი მოკრძალებულობით გამოირჩევა, არ უყვარს საკუთარი სპორტული მიღწევების აფიშირება. ამიტომ საქართველოში კი არა, მშობლიურ რაიონშიც ბევრს არ სმენია მისი გამარჯვებების თაობაზე...

სრული 20 წლის განმავლობაში პედაგოგობდა სოფელ მეტეხის საშუალო სკოლაში, სადაც 1972-92 წლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე არაერთი სპორტსმენი დააკვალიანა, ვინც შემდეგში გამოჩენილი მოჭიდავე გახდა... თვითონ ჭაბუკობაში არ უჭიდავია, თითქოს ვერ ბედავდაო. აი, არმიული სამსახურის პერიოდში სამბოში მოსინჯა თავი და ყირიმულ ევპატორიაში შავი ზღვის ფლოტის ჩემპიონიც გახდა. შინ მობრუნებულმა მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა და ახალი თაობის აღზრდას უერთგულა, არც აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. მისი მდიდარი და საინტერესო სპორტული ცხოვრებიდან მხოლოდ 2 ეპიზოდს გავიხსენებთ:

– 1970 წლის საბჭოურ პირველობაზე ჭიდაობა სამბოში მესამე იყო (მძიმეწონოსნებში). ქართველთაგან იმ წელს ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ შენგელი ფიცხელაური და გურამ ონაშვილი. აკაკი მალაციძემ 6 შეხვედრა გამართა, ნახევარფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა მოუგო (და ამით, ფაქტიურად გაინაღდა პრიზიორობა) ლენინგრადელ ანდრონიკოვს, რომელიც მანამდე, რამდენიმე წლის მანძილზე, უცვლელად იდგა კვარცხლბეკის მეორე-მესამე საფეხურებზე და მწვრთნელები იმ წელს უკვე ჩემპიონობას უგეგმავდნენ. ამდენად, ქართველმა მოჭიდავემ მეტოქეთაგან პირველმა შეძლო მისი დაქვეითება, ანუ საჩემპიონო ილუზიების დამსხვრევა. ეს ფაქტი საგანგებო ლაპარაკის თემა გახდა და საქართველოს გუნდის წარმომადგენლებსა და



თვით მალაციძეს ყველა ულოცავდა, ცხადია, რუსების გარდა. უფრო საინტერესო და დამაინტრიგებელი შეხვედრა კი წინ ელოდა. ნახევარფინალში მეტოქედ ერგო... თანაგუნდელი გურამ ონაშვილი. მალაციძემ ეს შეხვედრა დათმო და მარტოოდენ მესამე პრიზიორობას დასჯერდა. გამარჯვებულმა კი ფინალშიც იქართველა და ჩემპიონობას შეწვდა.

საინტერესოა, რომ მძიმეწონოსანთა კვარცხლბეკზე კიდევ ერთი ქართველი აღმოჩნდა – ზაზუნაშვილი, მეორე ადგილოსანი (ნახევარფინალში დამარცხებულებმა ბრინჯაოს მედლები მიიღეს).

– 1966 წელს ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო მხატვრული ფილმი “რაც გინახავს, ვეღარ ნახავ” (გადაღებულია სოფელ დიდი დილმის მიდამოებში). მან ფილმისათვის საგანგებოდ შეარჩია ქართული ტიპაჟები – სპორტსმენები და მოჭიდავეები, რომელთაც განასახიერეს ყარაჩოხელების როლები (მსახიობების გარდა).

აკაკი მალაციძე იგონებს ერთ ასეთ მომენტს: – ერთ-ერთი თავადის როლის შემსრულებელმა, ილია ბაქაქურმა, კარგად იცოდა ჩემი ჭიდაობისა და ძალ-ღონის შესაძლებლობები, ამიტომ მან მუდარით მთხოვა: – ბიჭო, კაკო, ისე მაგრად კი არ დამახეთქო, ბეჭი რომ ამომიგდოო! – მის ნათქვამს რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა თურმე ყური მოკრა და მან, პირიქით, ხუმრობით აქეთ შემაგულიანა: – ნამდვილი მოჭიდავე მეტოქის ხვეწნას ყურს არ ათხოვებს, ერთი გემრიელი “ბალევოი” გაუჭიმე, მაგას ბეჭი თუ ამოვარდება, მე არ მენაღვლება და შენც ნუ იდარდებო!

## ვეტერანები სამზეოდან ჩუმად მიდიან



ნუგზარ გოგიბედაშვილი (09.02.1939 – 26.02.2021)

### აზიური ,,განეფოს თამაშების,, ჩემპიონი

თებერვლის ბოლოს მოულოდნელად გარდაიცვალა, 82 წლის ასაკის შესრულებიდან ორიოდე კვირაში: დილით ადრიანად ადგა, ივარჯიშა, დაიბანა და ახალი დღისათვის გაემზადა, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევარი კაცისამებრ... ვინ თუ არა მან, ზედმიწევნით იცოდა ჯანმრთელობის ფასი, ვინც ათწლეულების განმავლობაში იდგა თანაქალაქელების ჯანმრთელობის სფეროს სამსახურში!

ნუგზარ ვლადიმერის ძე გოგიბედაშვილის სასპორტო და სამედიცინო საქმიანობა-მოღვაწეობის მოკლე დოსიე ასეთია (სპორტის ძველი თაობის გულშემატკივრებისათვის შესახსენებლად და ახლებისათვის კი გასაცნობად):

1953 წელი – თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო თბილისში, ცნობილ და სახელოვან მწვრთნელთან, შალვა ნოზაძესთან.

1955-64 – საქართველოს 10-გზის ჩემპიონი.

1962 – (ყოფილი) სსრკ-ის პირველობის მე-3 პრიზიორი (ქ. რიგა).

1964 – სსრკ-ის ჩემპიონი (ქ. ბაქო).

1966 – ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში გამართული “განეფოს თამაშების” (აზიის მცირე ოლიმპიადის) გამარჯვებული და ჩემპიონის დიდი ოქროს მედლის მფლობელი.

წარმატებული პროფესიონალი სპეციალისტის სახელი დაიმსახურა სამოქალაქო ცხოვრების “მეორე ფრონტზეც”:

სამედიცინო-სამკურნალო სფეროში მიკუთვნებული ჰქონდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (1982), შექმნა 20-მდე მეცნიერული ნაშრომი.

1968-82 წლებში ეკავა ქ. თბილისის ენდოკრინოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმისა და იმავე პერიოდში (1970-82), პარალელურად, დედაქალაქის მთავარი ენდოკრინოლოგის თანამდებობები.

1982 წლიდან 2010 წლის აპრილამდე კასპში მუშაობდა რაიონისა და ადგილობრივი საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იყო ქ. თბილისის დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრის ნეიროენდოკრინოლოგი, ხოლო პარასკევობით კასპში – სამედიცინო ცენტრი “მარიმედის” მკურნალი-ექიმი.

... თებერვლის უკანასკნელ დღეს თბილისიდან გადმოასვენეს და პატივით დაკრძალეს მშობლიური სოფლის – ზემო ხანდაკის ძველ სასაფლაოზე, რომლის სანახებშია ისტორიული კალოუბნის ეკლესია.

# სპორტ_INFO

## ჭიდაობა სამბო

### ჩემპიონი — ერთი, პრიზიორი — ორი

კასპელი მოჭიდავეებიდან პირველები სამბისტები ჩაებნენ საქართველოს მასშტაბის შეჯიბრებებში.

ქვეყნის პირველობა უჩვეულოდ ადრე, მარტის დასაწყისში გაიმართა. ამისი საბაბი გახდა "კოვიდ–19"-ის პანდემიური ვითარება, რის გამოც შარშანდელი ანალოგიური ჩემპიონატი ვერ გაიმართა.

ახლანდელს რამდენიმე მოულოდნელობა ახლდა: უმაყურებლობამ დააზარალა პირველ რიგში, წონითი კატეგორიებიც გადახალისდა და შემცირდა, ჩემპიონ-პრიზიორები 7 კატეგორიაში გამოვლინდნენ, ადრინდელი 9-ის ნაცვლად.

საქართველოს ჩემპიონების ტიტულები ისევ გამოცდილმა სამბისტებმა მოიპოვეს, ძირითადად, ეროვნული ნაკრების ლიდერებმა, რომელთა შორის არიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები: თელავიდან (ჩიდრაშვილი), ბათუმიდან (ჭოველიძე), ზესტაფონიდან (ლილუაშვილი), მცხეთიდან (ნახუცრიშვილი), ხაშურიდან (ნოზაძე), გარდაბნიდან (ლორიაშვილი) და კასპიდან (ბერძენიშვილი).

დიახ, ყველაზე მძიმე წონაში (აქედან გამომდინარე, პრესტიჟულადაც ითვლება) გამარჯვებულია 30 წლის ბექა ბერძენიშვილი, სოფელ მეტეხიდან. მან ამჯერადაც კასპის სახელით იასპარეზა. იგი, საერთო სათვალავით, საქართველოს 5-გზის ჩემპიონია სამბოში.

გვყავს ორი პრიზიორიც, თანაც, ორივე — ბრინჯაოსმედალოსანი.

79 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დადგა გიორგი კანკავა (ისიც სოფელ მეტეხიდან და ასევე 30 წლის).

სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა 20 წლის დიმიტრი კუნდუხაშვილმა (დაბადებულია 2001 წლის 7 იანვარს სოფელ ხვითში): 98 კილოგრამამდე კატეგორიაში მან მხარი დაუმშვენა გამოცდილ სამბისტებს — გარდაბნელ დავით ლორიაშვილს (ჩემპიონი), ქარელელ პაატა ღვინიაშვილს (მეორე პრიზიორი) და მცხეთელ პაატა ტაველურს (მესამე).

ამდენად, ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეებიდან თუ ვინმესგან მოველით ახალ გამარჯვებებს, უახლოეს პერიოდში ასეთად, უთუოდ, მოიაზრება დიმიტრი კუნდუხაშვილი.

## ფეხბურთი

### გამარჯვება ამხანაგურ მატჩში, ახალი სეზონის წინ

ჩვენი ქალაქის საფეხბურთო გუნდი სულ ერთი წლისაა. მისი სახელწოდება — "კასპი - 1936" — გვაუწყებს ჩვენში პირველი გუნდის შექმნის თარიღს და შეგვახსენებს კასპური ფეხბურთის თითქმის 80-წლოვან ისტორიას. კი ასეა, ახალშექმნილი "კასპი – 1936" შარშანდელ სეზონში დებიუტანტის როლში ვიხილეთ საქართველოს რეგიონული გათამაშების მე-5 ლიგაში, სადაც ვერაფერი გააწყო, მხოლოდ გამოცდილება მიიღო და ჩატარებული 13 მატჩიდან ოდენ სამში მოახერხა ქულების მოპოვება.

რა და როგორ იქნება ახალ სეზონში? — საამისოდ მზადების კარგი დათვალიერება გამოდგა ა. წ. 25 თებერვალს კასპის ფეხბურთის სტადიონზე ჩატარებული მატჩი. მეტოქედ გვეწვია დედაქალაქის ძლიერი გუნდი "ვიტ ჯორჯია–2" (პირველი გუნდი 1997 წლიდან წარმატებით გამოდის წამყვან ლიგებში).

თამაში კასპელებმა მოიგეს 2-ბურთიანი "მშრალი" ანგარიშით. გოლები მატჩის მეორე ტაიმში გაიტანეს შოთა მერებაშვილმა და ბექა პარსალიშვილმა. მათ გარდა "კასპი – 1936"-ის შემადგენლობაში 25 თებერვლის ამხანაგურ მატჩში გამოვიდნენ: გიორგი ჩარაევი (მეკარე), გიორგი გეჯაძე (შეცვალა გიორგი თამაზაშვილმა), ოთარ ბოლოთაშვილი, ბექა გზირიშვილი, ლევან ქენქაძე (ირაკლი მალაციძე), პაპუნა პაპაშვილი (შევიდა შეცვლაზე), ვასილ ქავთარაძე (ვაჟა სოყურაშვილი), ბექა დაბრუნდაშვილი (მოთამაშე მწვრთნელი და კაპიტანი), გიორგი უნგიაძე, მიშიკო მუმლაური (თორნიკე თაგვიაშვილი). გუნდის მწვრთნელები — გიორგი დაბრუნდაშვილი და დავით პარკაძე. იმსაჯა ზაურ დადიანიძემ (კასპი).

## ჭიდაობა სამბო

### პირველი მედალი — „ბრინჯაო"

საქართველოს სამბოს ფედერაციამ (პრეზიდენტი — ავთანდილ ცინცაძე, გენერალური მდივანი — გაბრიელ ბარჯაძე) ერთი კვირის წინსწრებით (27-28 თებერვალს) ჩაატარა უფროსთა პირველობის ანალოგიური შეჯიბრება ჭაბუკებისა (2003–04-წლიანები) და ახალგაზრდებისათვის (2001–02-წლიანები).

წლის სადებიუტო პირველობაში კასპელები წარმომადგენლობითი გუნდით გამოვიდნენ, მაგრამ ყველა ნაადრევად გამოეთიშა შეჯიბრებას, გარდა ერთი მოჭიდავისა.

ესაა მეტეხელი ჭაბუკი მოჭიდავე, 17 წლის ვალერი მღებრიშვილი. მან მე-3 ადგილი დაიკავა და შინ დაბრუნდა ბრინჯაოს მედლით, რომელიც პირველია, 2021 წლის სასპორტო სეზონის საწყის ეტაპზე რომ ჩაეშვა კასპელების საერთო ყულაბაში.

შეგახსენებთ აქვე, რომ ამ ჭაბუკმა ბოლოს ოფიციალურ შეჯიბრებაში 2 წლის წინ იჭიდავა: ლატვიის ქ. რიგაში ევროპის პირველობაზე, ასევე, მე-3 ადგილი დაიკავა კადეტებს (15-წლიანებს) შორის.

ვულოცავთ ვალერის წლევანდელ პირველ მედალს და, ასევე, უპირველესად... დაოჯახებას (თბილისური შეჯიბრებიდან მეორე დღეს მან ხელი სთხოვა თავის გულისსწორს — ლიკა ებრალიძეს)!

## ფოტო-მატიანე

რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში!

გამოგვიგზავნეთ წინაპრების ცხოვრების ამსახველი საინტერესო და სახალისო ფოტოები!

ერთად გავიხსენოთ, როგორ ვცხოვრობდით ...

## ვეტერანები სამზეოდან ჩუმად მიდიან ...

### ,,გამიშვი, მსაჯო, გამიშვი!,, ...

ნოდარ ნუგზარიშვილი (13.07.1958 – 15. 03. 2011)

ზუსტად 10 წლის წინ, 2011 წლის მარტში, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა კასპის სპორტის ისტორიაში (კერძოდ, ჭიდაობა ძიუდოში) ყველაზე გამორჩეული მოჭიდავე თავისი საშემსრულებლო ოსტატობითა და სასპორტო რეგალიებით, ვისაც ტექნიკური და თვალსასეირო ჭიდაობისათვის ტაშს უკრავდნენ ბევრგან — თბილისში, რიგაში, ლვოვში, მინსკში, მოსკოვში... პოლონეთში, ბრაზილიაში... უპირველესად — ქართულ ქალაქებში...

ნოდარ ნუგზარიშვილმა 1973-დან 1983 წლამდე, სრული 10 წელი იჭიდავა კასპის რაიონის სახელით. სხვა შემთხვევაში, ვინ იცის, იქნებ მეტისთვის მიეღწია!

გასაკვირია, რომ რამდენადაც წარმატებული იყო უცხოურ შეჯიბრებებში, იმდენად უიღბლო იყო შიდასაქვეყნო საფალავნო წრეში... აი, რად ღირს, თუნდაც, მსოფლიოს სტუდენტთა უნივერსიადის ჩემპიონობა (1978 წელი, ბრაზილია), საბჭოეთის მძიმეწონოსანთა პირველობებზე მესამეადგილოსნობა (1980, ზაპოროჟიე) და ვიცე-ჩემპიონობა აბსოლუტურთა შორის (1981, მინსკი), ანდა, საქართველოს ერთ სპარტაკიადაზე (1983) სამმაგი გამარჯვება ჭიდაობის სამ სახეობაში და ესოდენი წარმატებისათვის პატივად ერგო სიტყვით გამოსვლა მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძესთან ერთად სამთავრობო ხელმძღვანელების დონეზე სპორტსმენების მიღებისას.

აი, ასეთ დროს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ძიუდოსა და სამბოში, ფატალურად არ უმართლებდა დედაჭიდაობაში აბსოლუტურ ფალავნობებზე: მან 3-ჯერ იჭიდავა (რაც დადგენილია) ფინალურ ეტაპზე და ამდენჯერვე მხოლოდ მეორე იყო, ანუ, ვიცედ დარჩა (1977 წელს გაფალავნდა შოთა ჩოჩიშვილი, 1979-ში — მალხაზ ბერუაშვილი, 1980-ში კი ტარიელ მუთოშვილი)... არადა, ნოდარ ნუგზარიშვილს ნამდვილად ძალუძდა დიდი ჭიდაობა! მერედა, შეუდარებელ მოჭიდავეს, ვინც ნებისმიერ მეტოქესთან დაპირისპირებისას, მუდამ ჯიქურად, ქედუხრელად, გაბედულად, დაუდგრომლად, აზვირთებულად მიიწევდა და მიილტვოდა, როგორ დამშვენდებოდა საქართველოს - ფალავნობა!



ნოდარ ნუგზარიშვილის ძველი გულშემატკივრები ჩვენში ახლაც სიამაყით იხსენებენ ასეთ ამბავს: — ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში გაიმართა პრინციპული დაპირისპირება იაპონელ იამასიტოსა და ქართველ ნუგზარიშვილს შორის. "ამომავალი მზის ქვეყნის" დაუმარცხებელ ფალავანს გამარჯვება ესაჭიროებოდა 30 წამზე ნაკლებ დროში, რათა იაპონიის ნაკრებს დარჩენოდა გამარჯვება საბჭოეთის გუნდთან ბრძოლაში. იამასიტომ, ცხადია, მაშინაც გაიმარჯვა, მაგრამ ეს მოახერხა გაცილებით მეტ დროში. ამდენად, ეს ჩვენებური მედგრად შეემეტოქა იაპონელს, ვინც სასპორტო კარიერა, საერთოდ, დაუმარცხებლად განვლო.

მისმა ვაჟიშვილმა, ბესარიონმა კი, ვინც რამდენიმე წლის წინ უცხოეთიდან შეგვეხმიანა, მთლად ქართული სულისკვეთებით გამსჭვალული ასეთი რამ გვაცნობა მამასთან დაკავშირებით: - უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული, მაგრამ უთვალავი პრიზიდან, თასიდან, ფასიანი საჩუქრიდან და სხვადასხვა სინჯის მედლიდან, გამორჩეულად ერთით ამაყობდა. არ გაგიკვირდეთ, და, ეს არის წიგნი, ქართველებისათვის უპირველესი და უდიდესი საგანძური — "ვეფხისტყაოსანი". იმჟამინდელი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებს ერთ-ერთი საიუბილეო, იშვიათი, გამოცემის ეგზემპლარის სატიტულო გვერდზე წაუწერიათ: — "საქართველოს სადიდებლად დიდების გზით გევლოს მრავალჟამიერ!"

ფოტოგრაფიის თავდაპირველი მიზანი გახლდათ პორტრეტული ან ნატურალური გამოსახულებების მიღება ისეთ პერიოდში, რომელიც გაცილებით ნაკლები იქნებოდა იმ დროზე, რომელიც დასჭირდებოდა მხატვარს ამავე მიზნის მისაღწევად. ცნობილი გახდა ისიც, რომ თავისი განვითარებისა და სრულყოფის პროცესში გამომსახველობითი ფოტოგრაფია თანდათანობით ხელოვნების დამოუკიდებელ სახეობად ჩამოყალიბდა...

ფოტოგრაფიის გამოგონების თარიღად ოფიციალურად ითვლება 1839 წლის 19 აგვისტო, მაშინ, როდესაც პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში ფიზიკოსმა დ. არაგომ განაცხადა, რომ ლ. დაგერმა და ჟ. ნიეპსმა ერთობლივად შეიმუშავეს გამოსახულებათა მიღების ორიგინალური ხერხი, რომელსაც მოგვიანებით "დეგეროტიპია" უწოდეს.

კამერა-ობსკურში ექსპონირების შემდეგ ფარულგამოსახულებიანი ფირფიტა მჟღავნდებოდა ვერცხლის წყლის ორთქლით, შემდეგ კი, გამომჟღავნებული მასალა ფიქსირდებოდა ნატრიუმის ქლორიდის სახით.

ამის შედეგად ფირფიტის არეკლილ სინათლეზე დათვალიერებისას მასზე გამოჩნდა პოზიტიური გამოსახულება /დაგეროტიპი/, რომლის გამრავლება შეუძლებელი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, თითქმის ლ. დაგერთან ერთდროულად ინგლისელმა მეცნიერმა უ. ტალბოტმა დაამუშავა შუქმგრძნობიარე ქაღალდზე გამოსახულების მიღების ხერხი, რომელსაც "კალოტოპია" ეწოდა.

დაგეროტიპისაგან განსხვავებით, ამ ხერხით ღებულობდნენ არა პოზიტივს, არამედ ნეგატივს, რომლიდანაც შეიძლებოდა ნებისმიერი რაოდენობის პოზიტივების დამზადება.

გარდა ამისა, შესაძლებელი იყო გამჟღავნება და ნებისმიერი რაოდენობის პოზიტივების დამზადება. ამდენად, გამჟღავნება კალოტოპიაში ემსახურებოდა არა მარტო ფარული გამოსახულების ვიზუალიზაციას, არამედ მის გაძლიერებასაც, მაგალითად, როგორც ეს ხდება თანამედროვე ფოტოგრაფიაში. მას შემდეგ ფოტოგრაფია პერმანენტულად იქცა ჩვენი ცხოვრების თანამდევ მოვლენად და მის განვითარებაში მრავალი სიახლის მოწმენი გავხდით.

ამ რამდენიმე ხნის წინ "იმედის დილის" გამოშვებაში გავიდა ერთი ფრიად საინტერესო და ჩვენთვის საყურადღებო სიუჟეტი, რომელიც მიეძღვნა ქართულ ფოტოგრაფიაში 20-წამიანი დაყოვნების ფუნქციის არსებობას და ამ სიახლეში გამორჩეულ ჩვენებურებს.

მოკლედ, თანამედროვე ციფრულ სივრცეში, როდესაც ასე მოზღვავებულია უაღრესად განვითარებული და დახვეწილი ტექნოლოგიები, ალბათ, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული სიუჟეტის ავტორების დაინტერესება ქართულ ფოტოგრაფიასა და მის მიღწევებზე, მაგრამ აქ ერთი, ჩვენთვის მეტად საინტერესო დეტალი გამჟღავნდა, საქმე ის გახლავთ, რომ სიუჟეტის ავტორმა და წამყვანმა გოდერძი შარაშიამ ეს რამდენიმე წუთიანი სატელევიზიო მასალა კასპელ ლაშა ზუბიაშვილს მიუძღვნა.



ეს გახლდათ საგულისხმო შემთხვევა, მან ცალსახად დააფიქსირა, რომ ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოები (20-წამიანი დაყოვნების ფუნქციით) საინტერესო პერსპექტივას ითვალისწინებს სამომავლოდ. აღინიშნა ფოტოხელოვანის უდაო შესაძლებლობები, ალღო, უნარი.

დაასახელეს ლაშა ზუბიაშვილის მიერ გადაღებული ბოლოდროინდელი ფოტოები, რომლებიც ტელევიზიით გადაიცა.

საქმე ის გახლდათ, რომ კასპში, ქალაქის ცენტრში, როდესაც საახალწლო ნაძვის ხე ინთებოდა, ყველასგან დაფარულად განხორციელდა ინოვაციური ხერხით ფოტოს შექმნა.

— დიახ, ზუსტად საახალწლო ნაძვის ხის ანთების პროცესში, მაშინ, როდესაც სრულიად მობილიზებული და მზადყოფნაშია ფოტოხელოვანი, — აცხადებს ცნობილი ჟურნალისტი და ტელესახე ბატონი შარაშია, - მივიღეთ სრულიად უნიკალური ფოტომასალა, რომელსაც ბევრი ინატრებდა, თანაც თამამად და ახლებურად იტყოდა, ჩვენში ერთობ გავრცელებულ ფრაზას, "შეჩერდი, წამო!"





არადა, ეს ქათინაური კი არა, სწორედ რომ აღიარება გახლავთ განსწავლული საზოგადოებისაგან.

ვულოცავთ ლაშა ზუბიაშვილს ამ შემოქმედებით მიგნებას. თავად ლაშა კი უდიდეს მადლობას მოახსენებს ტელეწამყვანს მისი ფოტოს განხილვისა და მაყურებლისათვის წარდგენისათვის.

ზემოთ ნახსენები სატელევიზიო რეპორტაჟი აქაურებს საერთოდაც არ გაჰკვირვებიათ, ვინაიდან ისინი შესანიშნავად იცნობენ მის შემოქმედებასა და შესაძლებლობებს, მათ ზედმიწევნით იციან, თუ როგორი სიყვარულითა და რუდუნებით "ეპაექრება" ჯერ კიდევ ბავშვობისდროინდელ საყვარელ საქმეს.

სხვათა შორის, ჩვენმა მოსახლეობამ ისიც კარგად უწყის, რომ ლაშა ზუბიაშვილს ფოტოხელოვნება არსად უსწავლია, არც რაიმე კურსები გაუვლია, ყველაფერი თავისი მოწადინებით, ბუნებისა და სამშობლოს ისტორიის სიყვარულით შეძლო.

... ამასობაში კი, ფოტოხელოვანის არქივი დღითიდღე ივსება. მართლაც რომ ბევრმა სურათმა მოიყარა თავი, სეზონი ისე არ გაივლის, რომ მისმა

„გემოვნება სხვა არაფერია, თუ არა დახვეწილი და ჯანსაღი გონება"

ფოტოებმა არ დაამშვენოს პრესის ფურცლები ან ტელევიზიით არ გაშუქდეს.

მრავალფეროვან და მდიდარ არქივში უამრავ საინტერესო ფოტომასალას მოიძიებთ, ზოგიერთი ისეთია, თვითმხილველს, ერთი შეხედვით გაუკვირდეს კიდეც, არ ვაჭარბებთ, ასეთად შეიძლება დასახელდეს ულამაზესი რეპორტაჟები: "სოფელი ფიცესი", "რკონი".



თავად ავტორი კი უპირატესობას ანიჭებს და მისთვის დაუვიწყარი ფოტო გახლავთ ღამით, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე გადაღებული ერთაწმინდის ტაძარი.

ლაშა ზუბიაშვილი 2015 წლიდან მუშაობს ჩვენს მუნიციპალიტეტში, იგი პირველად კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა ხორბალაძემ შენიშნა და სამსახურიც შესთავაზა. მას შემდეგ მოყოლებული ლაშამ ბევრი თანამოაზრეც შეიძინა, ყველას დაამახსოვრა თავი ერთგულებითა და უანგარობით.

ლაშა ზუბიაშვილს ერთი ოცნებაც აქვს, რომელსაც ხმამაღლა და დაუფარავად აცხადებს, დიდი სურვილი აქვს, რომ ჰქონდეს "დრონი". სურს, სულ სხვა ხედვითა და რაკურსით დაანახოს ჩვენს მოსახლეობას რაიონის ღირსშესანიშნაობანი, უფრო მეტად დააინტერესოს აქ ჩამოსული ტურისტები, უცხოელი ვიზიტორები. იმედია, ეს ოცნებაც აუხდება ფოტოხელოვანს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.



## გილოცავთ!

ჩვენი გაზეთის ქომაგსა და ერთგულ მეგობარს, ყოფილ გამგებელს ბატონ გია ციხისთავს გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს!

ბატონო გია, დღემდე გვახსოვს თქვენი მზრუნველი და საქმიანი დამოკიდებულება. გავკადნიერდებით და საიუბილეო დაბადების დღეს გეუბნებით დამსახურებულ მადლობას გაზეთის შესანარჩუნებლად გვერდში დგომისათვის!

მრავალჟამიერ!

განთიადელები



ცეკვის აკადემია ,,დიდგორის,, მოცეკვავეები დაბადების დღეს ულოცავენ ქორეოგრაფ დარინა პაპაშვილს.

საყვარელო დარინა, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს!



ცეკვის აკადემია ,,დიდგორის,, მოცეკვავეები.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მკითხველი!

## მამულო, სიცოცხლეო!

დასასრული.

ბავშვებმა და აქ მოსულმა საზოგადოებამ ყვავილების თაიგულებით შეამკეს საპატიო მემორიალი.

შესრულდა საქართველოს ჰიმნი.

ღონისძიებაში აქტიურობდნენ მოსწავლეები: ნანა ილურიძე, მიხეილ სამხარაძე, მაია თაბუაშვილი, უჩა გოგოლაძე, საბა წინამძღვრიშვილი, ბარბარე ჩარაევი, გიორგი და მარიამ ჟივიძეები.

ყველა მათგანმა დიდებითა და მოკრძალებით მოიხსენიეს სახელოვანი მამულიშვილები, ზოგმა მონოლოგი წაიკითხა, მათ მოწიწებითა და კრძალვით გაიხსენეს სახელოვანი ადამიანები, ბევრმა მოსწავლემ სიმღერა და ლექსიც მიუძღვნა დაღუპულთა ხსოვნას.



შეხვედრამ რამდენიმე ხანს გასტანა და ყველა იმედიანი და მოტივირებული აღმოჩნდა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

**დოკუმენტური პროზა ოთხმოცდამეათე წელი - თქვენთან ერთად!**

## პროვინციული ქალაქის ცხოვრებით

დასასრული.

ვლადიმერ ქერქაძესთან ბევრისმთქმელ ურთიერთობას..

... იმავე დღეს, ვაჟა ყიფიანის კაბინეტში, აღდგენილი რედაქციის თანამშრომლები მომავალ რედაქტორს წარუდგინეს.

დილით, სამსახურში გამოცხადდნენ რედაქცია - სტამბის თანამშრომლები, რედაქტორის კაბინეტში გაზეთის აღდგენა მიულოცეს ერთმანეთს და პირველი სამუშაო თათბირიც ჩაატარეს.

გაზეთის არსებობის მანძილზე, იცვლებოდნენ რედაქტორები, თანამშრომლები, ტარდებოდა უამრავი სამუშაო შეხვედრა, მაგრამ, 1965 წლის ცივი დეკემბრის ეს თათბირი, არაფრით ჰგავდა წინამორბედებს და არც შემდგომებს, ეს უფრო ემოციური, წლობით გაუქმებული გაზეთის ახალი დაბადებით გამოწვეული სიხარულის, ურთიერთგაცნობის, თანადგომის, იმედებისა და რწმენის განმტკიცების, ერთგულების, ფიცის დადების, ჭირისა და ლხინის გაზიარების, მათი ავანსად გაცემის თათბირი გახლდათ და ამიტომ გადაწყდა: აღენიშნათ ქართულად, ტრადიციულად. პურმარილით, გაშლილი სუფრითა და კეთილი გულით.

1966 წლის პირველი იანვრის ცივი, უთოვლო დილა შემოვიდა კასპში. პირველი მაისის ქუჩის 19 ნომერ შენობას, საფოსტო განყოფილების მანქანა მოადგა და საბეჭდი დაზგიდან გადმოსული, რაიონული გაზეთის ჯერაც საღებავშეუმშრალი ეგზემპლარები მიითვალა.

რამდენიმე წლიანი შესვენების შემდეგ, ქსელში გავიდა და გაზეთ ,,კომუნიზმისაკენის" აღდგენილი ნომერი (ეს ოდიოზური სახელწოდება, მალე ,,განთიადმა" შეცვალა), მისი ფურცლებიდან კი, ახალ წელს გვილოცავდა რაიონის თავკაცი, ვლადიმერ ქერქაძე, რომელმაც, 60-იან წლებში, კასპი ნამდვილ ქალაქს დაამსგავსა, თუმცა, მაშინ, ეს ცოტამ თუ იცოდა ...

1966 წლის პირველი იანვარი იდგა. ჯერაც ეძინა ახალი წლის რიტუალებითა და ემოციით დაღლილ ქალაქს, სტამბიდან გამოსული, ღამენათევი რედაქტორი, პოეტი და დრამატურგი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მიატოვა დიდი ქალაქის მშფოთვარე ცხოვრება, მძიმე ნაბიჯებით მიჰყვებოდა ცემენტის მტვერით გადაფეთქილ, პროვინციული ქალაქის მთვლემარე ქუჩას და არ ანაღვლებდა ის სირთულეები, წინააღმდეგობები და შუქ-ჩრდილები, რომლებიც წინ ელოდა, ასე უხვად და უშურველად...

მტკვრის ხეობაში, ზენა ქარი ქროდა, აშურიანის გახრიოკებულ მინდორს გლიდა და ცაზე მოჯარულ, სათოვლე ღრუბლებს ფთილა - ფთილა ფანტავდა ...

**ნორა ედიშერაშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

*გაგრძელება.

დასაწყისი იხილეთ, ,,ათვლის წერტილი", პირველი და მეორე ნაწილი. გაზეთი ,,ახალი განთიადი," 2020 წლის 16 დეკემბერი და 2021 წლის 26 თებერვალი.

*ეძღვნება კასპის რაიონული გაზეთ "ახალი განთიადის" (,,განთიადი") 90 წლის იუბილეს.

## კასპი – ჰილდესჰაიმი: ბედი, რომელიც სადაურსა სად წაიყვანს დედად...

დასასრული.

ვერა, რადგანაც გერმანიაში პედაგოგ-აღმზრდელად მუშაობა ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობად ითვლება, იქ მომუშავე ვალდებულია, პატარებს დაეხმაროს საერთო განვითარებაში, გადასცეს პირველადი ცოდნა და გამოუმუშაოს ცხოვრებისეული საწყისი ეტაპის უნარჩვევები.

***

ახლა სიტყვას გადავცემთ ქართველ ქალბატონს, გერმანელი შვილების დედას, რომლის თავზე ზედგამოჭრილია ჩვენებურ-ძველებური ერთი გამოთქმის პერიფრაზირება: — ეჰ, შენ რა გითხარი ქართველი ქალის ბედო, სადაურსა სად წაიყვან შვილების დედად!

**ელისო მერებაშვილი-ვოლმერი — ქ. ჰილდესჰაიმის (გერმანია) საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი:**

* გერმანიაში არსებობს სხვადასხვა ტიპის ბაღები: მონტესორის, ვოლდორფის, სატყეო, რეგიონული, ფრიბელის სიტუაციაზე ორიენტირებული და ა. შ. ისინი მუშაობენ განსხვავებული პედაგოგიური კონცეპტებით.

* საბავშვო ბაღების აღსაზრდელები ზეიმობენ აღდგომას, ქრისტეშობასა და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს. პერიოდულად ისინი დაგვყავს ეკლესიებში. იქ სპეციალურად პატარებისათვის მოძღვარი წირვას წარმართავს ნახევარი საათის ხანგრძლივობით, ანდა მათთვის გასაგებად საუბრობს თემებზე, როგორიცაა: სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა, სხვებზე ზრუნვა და დახმარება. ბოლოს, ის მათთან ერთად მღერის საბავშვო საგალობლებს და კითხულობს "მამაო ჩვენოს" ლოცვას.

***

საქართველოსაგან განსხვავებით აქ არის "შერეული ასაკის" ჯგუფები. ერთად არიან მაგალითად, 3–5-წლიანები, რის პრინციპიც ასეთია: უმცროსები უფროსებს ბაძავენ და მათგან სწავლობენ, დიდები კი, სამაგიეროდ, პატარებზე ზრუნავენ.

ასევე, 3-6 წლის ბავშვებს შუადღით არ აძინებენ, რადგანაც მიღებულია, რომ პატარა ადრე-დილით ადგეს და საღამოთი 7-8 საათზე დაიძინოს, საშუადღეო ძილი ამოვარდნილია მათთვის (სულ პატარებისათვის — არა). ამიტომ აქაურ ბაღებში ვერ ნახავთ საწოლებს.

* ბავშვებს ყველა პირობა აქვთ ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის. უამრავია შესაფერისი სათამაშო და თვალსაჩინოება, ეზოები დამშვენებულია ბალახის მწვანე ხალიჩით, იქვეა ქვიშა — სათამაშოდ. სავალდებულოა ყოველდღიური გაყვანა სუფთა ჰაერზე, ანუ მეტი სიახლოვე ბუნებასთან.

* პედაგოგები დღის განმავლობაში უკითხავენ წიგნებს, ყველაფერს თამაშ-თამაშით ასწავლიან. ეხმარებიან, რათა დამოუკიდებლად დაეუფლონ გახდა-ჩაცმას. პატივსაცემია თვით ბავშვის აზრი, დაუშვებელია მისი შეურაცხყოფა და დამცირება, დაყვირება და უსამართლოდ მოქცევა, სხვათაგან გამორჩევა, ბავშვის გონება მგრძნობიარეა და პედაგოგმა სულიერი ტრავმა არ უნდა მიაყენოს.

* პედაგოგ-აღმზრდელის მუშაობა საკმაოდ შრომატევადია. ვაკვირდებით ბავშვების ქცევას და ვაკეთებთ ჩანაწერებს მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარების თავისებურებებზე. შემდეგ პერიოდულად ვიწვევთ მშობლებს და ვაცნობთ ამ მონაცემებს. თითოეული ბავშვის მშობელს ცალკე ვესაუბრებით, რათა ვერ გაეცნონ სხვათა ინფორმაციას. ბავშვებს აქვთ ინდივიდუალური ფოტოალბომები და მათში ვუკრავთ ბაღის საქმიანობის სურათებს.

* ცალკე სასაუბრო თემაა წინასასკოლო მომზადების პროგრამა. ასე რომ, საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაო გვაქვს, მაგრამ აქ ითვლება, რომ ბავშვების სწორად აღზრდა აუცილებელია სწორედ საბავშვო ბაღელების ასაკიდან, ამ ეტაპზე მოზარდის განვითარებით იწყება სრულყოფილი პიროვნებისა და მოქალაქის, საზოგადოების ღირსეული წევრის ჩამოყალიბება, მისი მოქცევა ადამიანურ ჩარჩოებში.

**კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**

**კასპის №5 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ რობიზონ ქარქუსაშვილს ძმის და ნაირა დევაძეს მაზლის**

**ანზორ ქარქუსაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

გახდით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76